ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0122110807**
თარიღი: **20/04/2022**
პინი: **6684**

ადრესატი: გოჩა მეზვრიშვილი
პირადი ნომერი: 01028000222
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, აეროპორტის დასახლება, სახლი 44, ბინა 10

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01220911843-67
განცხადების თარიღი: 01/04/2022

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :81.01.23.011
- მისამართი :ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი

განმცხადებელი-დამკვეთი :გოჩა მეზვრიშვილი
პირადი ნომერი :01028000222
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, აეროპორტის დასახლება, სახლი 44, ბინა 10

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ბრძანება:**ბ01.01221106**
თარიღი:**20/04/2022**
პინი:**2493**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.23.011) საზოგადოებრივი მნიშვნელობის საინჟინრო ობიექტების განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220911843-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.23.011) საზოგადოებრივი მნიშვნელობის საინჟინრო ობიექტების (ორი ანძა და საკომუნიკაციო შელტერი) განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220911843-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01221101**
თარიღი: **20/04/2022**
პინი: **7248**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01220911843-67
განცხადების თარიღი:	01/04/2022
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	81.01.23.011
მისამართი :	ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი
მესაკუთრეები :	შპს "საქაერონავიგაცია",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	გოჩა მეზვრიშვილი
პირადი ნომერი :	01028000222
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, აეროპორტის დასახლება, სახლი 44, ბინა 10
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	გოჩა მეზვრიშვილი
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	სატყეო ზონა
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	27.0
მოთხოვნის შინაარსი :	

მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ,გასცეთ სპეციალური ზონალური ნებართვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	განმარტებითი ბარათი საქაერონავიგაციის მისიაა, საქართველოს საჰაერო სივრცის მომხმარებლებს გაუწიოს უსაფრთხო და ეფექტური სააერნაოსნო მომსახურება ქვეყნის კანონმდებლობის და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების სტანდარტების შესაბამისად. საჰაერო მოძრაობის ორგანიზების პროცესში მინიმუმამდე დაიყვანოს საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების გამომწვევი რისკ-ფაქტორები და ხელი შეუწყოს ფრენების მავნე ზემოქმედების შემცირებას გარემოზე. ფრენების უსაფრთხოება კომპანიის მთავარი პრიორიტეტია. სააერნაოსნო მომსახურებასთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების შეფასებისა და მათი შემდგომი პრევენციის მიზნით ფრენების უსაფრთხოების და რისკების ანალიზი საქაერონავიგაციაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ფრენების უსაფრთხოების მართვა მოიცავს შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირებას, იდენტიფიცირებული საფრთხეების შეფასებას, შეფასებული საფრთხეების სიმძიმის შემცირებას, არსებული რისკების მართვას და მათ შეძლებისამებრ აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე საკომუნიკაციო ფუნქციონალური სისტემის ეფექტინობის ამაღლების მიზნით შექმნილმა ჯგუფმა შეისწავლა სააერნაოსნო მობილური მომსახურების („მიწა-ჰაერი“ რადიოკავშირი) თეორიული გადაფარვის გამოთვლების შედეგად გამოვლენილი პრობლემატური არეები. ასევე New Instrument Flight Procedures and ATS Airspace for Tbilisi International Airport - ის უსაფრთხოების შეფასების მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა შეიქმნას ახალი რადიოსადგურ(ებ)ის გაუმჯობესებული გადაფარვები. ობიექტი წარმოადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკომუნიკაციო-საინჟინრო ნაგებობას, რომელიც მოემსახურება სამოქალაქო ავიაციას უსაფრთხო ფუნქციონირებას. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საკომუნიკაციო ფუნქციონალური სისტემის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისთვის, ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ შეირჩა ადგილი საკომუნიკაციო ობიექტის მოსაწყობად. ზემოთქღნიშნულის განხორციელების მიზნით სახელმწიფომ უსასყიდლოდ გადმოგვცა მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს კოჯორის ტერიტორიაზე (ს/კ: 81.01.23.011 / ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი - 227კვ.მ.). გამოყოფილ მიწის ფართობზე განთავსდება ორი 15 მეტრიანი ანძა და საკომუნიკაციო შელტერი. ტერიტორიის მიმდებარედ უკვე არსებობს ანძების ფუნქციონირებისთვის შესაბამისი კომუნიკაციები, რაც ბევრად დააჩქარებს ობიექტის მუშა მდგომარეობამდე მიყვანას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა და გასცეთ სპეციალური ზონალური ნებართვა.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	საკომუნიკაციო ობიექტები (ანძა და საკომუნიკაციო შელტერი)
გადაწყვეტილების დასაბუთება :	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.01.23.011 ფართობი 227.0კვ.მ.) ვრცელდება სატყეო ზონა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ღ'' ქვეპუნქტის მიხედვით, სატყეო ზონა – ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტყეებსა და სატყეო ტერიტორიებს“. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ღ'' მიხედვით, სატყეო ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე ასევე დასაშვებია საკულტო და კანონმდებლობით განსაზღვრული საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხაზობრივი- საინჟინრო შენობა-ნაგებობების განთავსება. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკის თანახმად ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების 68-ე მუხლის თანახმად კი, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი

	ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. ამავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი- პერიფერიული ზონა (პზ). საპროექტო წინადადებით იგეგმება საკომუნიკაციო ობიექტების (ორი ანძა და საკომუნიკაციო შელტერი) განთავსება. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებას, თუმცა ხსენებულმა სააგენტომ საპროექტო მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადასცა შპს „საქაერონავიგაციას“. საკითხი განსახილველად წარდგენილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში, რომელმაც მოითხოვა სპეციალური (ზონალური) შეთანხმების წარდგენა. ვინაიდან, საპროექტო ობიექტი განიხილება როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხაზობრივი საინჟინრო შენობა-ნაგებობა, რაც სატყეო ზონაში წარმოადგენს საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას, საკითხი განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის კუთხით. საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, რომლის 2022 წლის 12 აპრილის N01221023845 წერილით დაფიქსირდა დადებითი პოზიცია.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. ვინაიდან საპროექტო ობიექტი წარმოადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საინჟინრო შენობა-ნაგებობას, სააგენტოს დასაშვებად მიაჩნია დააფიქსიროს დადებითი პოზიცია საზოგადოებრივი მნიშვნელობის საინჟინრო შენობა-ნაგებობის (ორი ანძა და საკომუნიკაციო შელტერი) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე. პროექტირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოქმედი საკანონმდებლო ნორმები.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

სააგენტოს უფროსი